სახალხო გაზეთი

№ 1111 შაბათი, 8 თებერვალი 1914 წ. № 1111

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდდენი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელ ის მომწერთ მიეცემათ სამი წიგნი

ირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6	5.25	4.50	3.75	3	2.25	1.50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ილის გამოცვლის ფასი ტფილ ისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ნც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით ოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელისწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

ოიმ დიმიტრის ასული ჩივაძისა, იოსებ ივანეს ძე ჩივაძე მეუღლით, ანნა ივანეს ასული ქუჩუაშვილისა ქმრით, შიო პეტ- [illegible], მიხეილ, გურგენ, ლევან და ალექსანდრე დიმიტრის ძე ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ, რომ კვირას, 9 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს მეორე ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

გიორგი ჩივაძის

სულის მოსახსენებლად. 82

რმად გაუბედურებული და უზომოდ დამწუხრებული ქვრივი იულია კანდელაკის ასული ბაგრატიონისა შვილებით ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ, რომ მისი ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის

ოლომონ გიორგის ძე ბაგრატიონის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 9 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაზე დილის ათი საათიდან. 81

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საზღვარ-გარეთის კიმონო

ა. პორტუგალოვისა

აუწყებს, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა საქარხნო მაღაზიამ მიიღო დიდ-ძალი შეკერილი ტანისამოსი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე. ლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი აქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კიმონო

კიმონო

532

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირექტორ ს. ი. არისმანთან.

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

დღეიდან ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

ქართული თეატრი

ორშაბათს, 10 თებერვალს,

ქართულ კულტურულ მოღვაწეთა საზოგადოება

ჰმართავს

სალიტერატურო-სამუსიკო-სასიმღერო საღამოს.

შემდეგის პროგრამით:

I) **ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ,** კომედია 2 მოქ. რაფ. ერისთავისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი: ელ. ჩერქეზიშვილი, ა. ზოიძე და ბ-ნნი: ვას. აბაშიძე, მ. ხონელი, ა. შანშიაშვილი.

რეჟისორი ვას. აბაშიძე.

II) **სალიტერატურო-სამუსიკო-სასიმღერო განყოფილება:** ა. [illegible], იოს. ბარათაშვილის, ი. გრიშაშვილის, ვ. ლორთქიფანიძის, სოფრ. მგალობლიშვილის, ი. მჭედლიშვილის, ი. სილირაშვილის, ს. ფაშალიშვილის, ლ. ჯანდიერის, გ. ქუჩიშვილის და სხვათა მონაწილეობით.

III) **პოეტების შეჯიბრება.**

წაკითხულ იქნება საპრემიოდ წარმოდგენილი 17 ლექსი. ორ მოწონებულ ლექსის ავტორს მიეცემა პრემიები: 1) „ვეფხვის ტყაოსანი“ (ზიჩისაგან დასურათებული გამოცემა) და 2) ილია ჭავჭავაძის თხზულებანი (მიხ. გედევანიშვილის ახალი გამოცემა). ლექსებს განიხილავს და პრემიებს გაანაწილებს სპეციალური ჟიური, შემდეგ პირთაგან შემდგარი: იოს. გედევანიშვილი, ივ. გომართელი, ს. გორგაძე, იპ. ვართაგავა, ალ. ზურაბიშვილი, ივ. ზურაბიშვილი და გრ. ყიფშიძე.

საპრემიო ლექსებს წაიკითხავენ: ქ-ნი ნ. დავითაშვილი და ბ-ნნი ვ. ბარველი, ა. იმედაშვილი, კ. ფრანგიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი. ◆ ადგილების ფასები დაკლებულია.

ბილეთები იყიდება. დასაწყ. საღ. 8 ს. 1054

ტფილისის კერძო სამკურნალო

[illegible] ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და [illegible] სახელოსნოს ახლოს.

ტელეფონი № 580.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებ.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
[illegible] სნეულებ. და [illegible]	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ზონდოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**[illegible] ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი ერთი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წამლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. [illegible]

ქართული თეატრი

ი. ზარდალიშვილის ავადმყოფობის გამო, მ. ზუნიას საბენეფისო პიესა „დონ-კარლოსი“ გადაიდო სხვა დროსთვის მის მაგიერ კვირას, 9 თებერვალს, 1914 წ. ქართ. დრამატიული საზოგადოების დასის მიერ მეორედ წარმოდგენილი იქნება:

სინათლე,

ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. 7 სურათად ი. გედევანიშვილისა

„დონ-კარლოსის“ ბილეთები გამოდგება სხვა დროსთვის, რომელიც იქნება ცალკე გამოცხადებული. ◆ მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 საათ. ◆ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

ამხ. ქართ. დრ. საზ. გამგ. 1617

ახალი კლუბი

შაბათს, 8 თებერვალს,

საოჯახო საღამო.

სცენაზე წარმოდგენილ იქნება სახალხო მუსიკალურ საზოგადოებისაგან

დემონი, ოპერა 4 მოქმედ. რუბინშტეინისა.

ცნობილ არტისტის ტ. ს. ბ-ნ [illegible] მონაწილეობით.

ადგილების ფასი: პარტერში 1 მ. 30 კ., ქანდარაზე 25—10 კ. ქანდარა ყველასთვის ხელმისაწვდომია სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს; კაცები 50 კ., ქალები და სტუდენტები 25 კ. 1052

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე. [illegible] ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე [illegible]

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე [illegible]

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1604

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას-ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმეტესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

ბ. გ. მებრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვ.სებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ.

ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1616

ქ. გორში

(დოქტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1571

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი ქიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე,** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს

ქართული პრესა

პოლონელი მარქსისტები პოლონეთის ავტონომიის თავ-დადებული დამცველები არიან. მათ პოლონეთის ავტონომია არც ნაციონალისტურ დაწესებულებად მიაჩნიათ და არც ბურჟუაზიულად. ჩვენებურ დასელებს, რომელნიც, ალბად, პოლონელ მარქსისტებზე უფრო ჭკვიანები არიან, თვით მათის წარმოდგენით მაინც, მოსვენებას არ აძლევს ეს გარემოება და ძალიანა სწუხან, რომ ჩვენებურ დასელების ჭკუას არ მისდევენ. აკი იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მათრახები გადაჰკრეს ქართველმა მარქსისტებმა პოლონეთის ავტონომიას, ჭკუის სწავლა დაუწყეს. მაგრამ, მოგვეცით წყალობა, კუდით ქვა მათ ასროლინეს! რახან პოლონელი ამხანაგების „მორჯულების“ იმედი დაეკარგათ, ტყუილებს მიჰყვეს ხელი და ხალხში ავრცელებენ, მართალია პოლონელი მარქსისტები ავტონომისტები არიან, მაგრამ მათი ავტონომია **სულ სხვანაირი** არისო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან ეჭვი შეგვეპარა ასეთს განცხადებაში და ვიფიქრეთ, დასელები სწორედ ახალი ტყუილის გასაღებას აპირებენო. ამ ეჭვების გასაფანტავად „სიმართლის ხმა“ სწერს:

> „მათ ჰგონებიათ, რომ რაკი წითელი და ყვითელი ავტონომია არ არსებობს, ამიტომ ყველა ავტონომია ერთნაირია. მაგრამ ვინ არ იცის, გარდა „სახალხოელებისა“, რომ ავტონომიაცაა და ავტონომიაც, რომ ერთი მეორისაგან დიდად განირჩევა თავისი შინაარსით. „სახალხოელებმა“ რომ იცოდნენ, თუ როგორ ჩარჩოებში აყენებენ პოლონელი მარქსისტები თავის მოთხოვნილებას და რა კომპეტენციით უნდათ აღჭურვონ პოლონეთის ავტონომია, მაშინ კი არ გაუკვირდებოდათ ჩვენი თანამშრომელის, **შთრეულის** სიტყვები და უცოდინარობით ყოყოჩობას აღარ მოჰყვებოდნენ“.

ვსთქვათ, მართლაც ასეა, და პოლონელ მარქსისტების ავტონომიის კომპეტენცია სხვანაირია, სრულიად არა ჰგავს ქართველ ავტონომისტების ავტონომიის კომპეტენციას. ჯერ ერთი, არც ეს არის მართალი. დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული ავტონომია ერთნაირია ყველგან და, ვინც ავტონომიური მოძრაობის ისტორია იცის, მისთვის ცხადი გახდება, რომ ავტონომიის კომპეტენცია პრინციპიალურად ყველგან ერთნაირია. ყოველ შემთხვევაში, სანამ „სიმართლის ხმა“ არ დაამტკიცებს, რითი **განსხვავდება** პოლონეთის ავტონომიის კომპეტენცია სხვებისაგან, ჩვენ შეგვიძლიან მისი განცხადება სიტყვის ბანზე აგდებათ ჩავთვალოთ.. მაგრამ, ვსთქვათ, ეს მართალია. აიღეთ, თქვე დალოცვილებო, და პოლონელი ავტონომისტების პროგრამა გადმოწერეთ, მთელი თავისი კომპეტენციებით: მაგრამ ჩვენებური დასელები ამას როგორ გაჰბედავენ? ესენი ჭკვიანები არიან, ძალიან, ძალიან ჭკვიანები, პოლონელ მარქსისტებზე ჭკვიანები არიან. გარდა ამისა, სად საქართველო და სად პოლონეთი! პოლონეთი დიდი ქვეყანაა, იქ თავისუფლებას არავის გაათელინებენ, თვით პლეხანოვსაც კი. აქ კი... აქ თუ პლეხანოვს გადარჩნენ, სოლოლაკელებს რაღას უზამენ? საქართველოს ავტონომია ხომ სომხის პლუტოკრატიის სიკვდილი იქნება და, აბა, ამისთანა რამეს რად იკადრებენ ჩხეიძის არჩევით დავალიანებული დასელები?

⁂

გაზეთ „ერში“ გრ. გველესიანი უბრუნდება საბურთალოზე გლეხების დასახლების საკითხს და ამტკიცებს, რომ ეს ძნელი არაა, მხოლოდ საჭიროა დახმარება და ხელის შეწყობა საზოგადოების მხრით. დასასრულ ავტორი აღნიშნავს ქალაქებში გაძლიერების საჭიროებას ქართული ეროვნული ცხოვრების განვითარებისათვის.

> „კვლავ ვიტყვით, პირველ ყოვლისა, ქალაქს უნდა გამაგრება. ეროვნული საკითხი, რამდენად იგი, სხვათა შორის, ერთა ურთიერთობას ეხება, ქალაქში აღმოცენდა და აქვე უნდა გადაწყდეს. ქალაქს შემდეგ სოფელიც მოჰყვება. ქალაქი მისი მაჩვენებელია. ქალაქია ბუდე გაბატონებული კლასებისა, და მაშასადამე, აქ მეფობს უაღრესად ბატონობის განმტკიცების სურვილებიც. და, სადაც ასეთი სურვილებია, იქ, უეჭველია, მეორე იჩაგრება თუ წინდა კლასობრივ ურთიერთობათა სფეროში და თუ ეროვნულ ნიადაგზე, ოღეს ბატონობა მთელი ერის ინტერესების გადალახვას ლამობს. ასეთ პირობებში აუცილებლად საჭირო ხდება თავის დაცვა ძალთა გაძლიერებით.
>
> აი, ერთერთი საშვალებაც ძალთა განწყობილების შეცვლისა ტფილისში ის გახლავს, რასაც ჩვენ წინა წერილში ვიცავდით. ამ საშ[illegible]ბილურ მეტოქობის გზაზე სდგება, რომელიც ეროვნულ სიმწვავეს ოდნავადაც არ იწვევს და, პირიქით, ერთა სოლიდარობისკენ მიდის იმდენად მაინც, რამდენად იგიც, სხვათა შორის, ძალთა თანასწორობას აახლოვებს. ძალთა თანასწორობა კი ხომ მშვიდობიანობის გარანტიაა!“

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **14 თებერვალს** (და არა 14 მარტს, როგორც შეცდომით გვქონდა მოხსენებული) **ქართული დრამატიული საზოგადოება ქართულ თეატრსა და ახალ კლუბის დარბაზში გამართავს ბალს.**

◆ **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა** ნაცვლად თ-დის ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომელმაც ამ თანამდებობას თავი დაანება, ორშაბათს, 10 თებერვალს მოხდება. ამის გამო დღეისთვის, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში ხმოსანთა კერძო თათბირი მოხდება ამ თანამდებობაზე კანდიდატის დასასახელებლად.

◆ **ზარეჩნის დასის ადმინისტრატორი სვეტლოვსკი**, რომელმაც პოლიციის დეპარტამენტში დააბეზღა სახალხო სახლის მეთაურნი, რევოლუციონურს პიესებს სდგამენო, გუშინ დასის დირექციამ სამსახურიდან დაითხოვა.

◆ **ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის** რევიზია გრძელდება. როგორც ამბობენ, კონტროლს იქ მრავალი ბოროტმოქმედება აღმოუჩენია.

◆ **ახალი გაზეთი.** ნაფიცმა ვექილმა ო. ს. ბუკშტეინმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გამოცეს ტფილისში რუსულ ენაზე ქ-ნ ე. ზ. გონგაძე-პავლიტინსკის რედაქტორობით რუსული გაზეთი სახელად „კავკაზსკაია ჟიზნ“ (კავკასიის ცხოვრება).

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად 11,000 საიუბილეო მედალი გამოიწერა მოსამსახურეთათვის დასარიგებლად.

◆ **ავლაბრის კლუბში.** ხუთშაბათს, 6 თებერვალს, ავლაბრის საზოგადო კლუბი საკუთარს შენობაში გადავიდა. ეს კლუბი სულ სამი წელიწადია, რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მამასახლისთა საბჭოს მეცადინეობით საკუთარ შენობის შეძენა მოახერხა. შენობა, რომელიც მდებარეობს კახეთის ქუჩაზე (№ 1), შესდგება ორის სართულისაგან, მეორე სართულში [illegible] ქვედა სართული ქირით არის გაცემული. შენობა კლუბს დაუჯდა 100,000 მან. სახლის ეზო შეიცავს 200 ოთხ. კუთხ. საჟენს ცარიელს მიწას, სადაც კლუბი სახალხო აუდიტორიის აგებას აპირობს. ახალ შენობაში გადასვლის გამო 6 თებერვალს კლუბში საგანგებო დღესასწაული გაიმართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ქალაქის თვითმმართველობისა, პრესისა და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი. კონცერტის დაწყებამდე მამასახლისთა საბჭოს თავჯდომარემ ექიმმა იგიტიანცმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დამსწრეთ გააცნო კლუბის საქმეთა თანდათანი ზრდა. სხვათაშორის, აღნიშნა, რომ კლუბის დახმარებით ავლაბარში დედათა პროგიმნაზია გაიხსნა. დღესასწაულის დასრულების შემდეგ კლუბში საერთო ვახშამი გაიმართა.

◆ **რუსულ კლუბს** განზრახვა აქვს, კლუბის საჭიროებისათვის შეიძინოს კლუბის გვერდით მდებარე მიწა ბიჩჩისა, ზომით 500 ოთხკუთხი საჟენი. ამ საკითხის გამო 11 თებერვალს კლუბის წევრთა საგანგებო კრება მოხდება.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ამიერ-კავკასიის სამელიორაციო** კრების მომწვევ კომიტეტის კრება 6 თებერვალს მოხდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში თ-დ პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. გამოირკვა, რომ იმ ბიუროს წევრთაგან, რომელსაც დავალებული ჰქონდა სხვა და სხვა სამუშაოს შესრულება, კრებას მხოლოდ ორი კაცი დაესწრო. გამოირკვა ისიც, რომ ბიუროს აგერ ექვსი თვეა არა გაუკეთებია რა და მუშაობისათვის სრულიად მიუტოვებია თავი ბიუროს თავმჯდომარის სენატორ ვატაცის წასვლის შემდეგ. კომიტეტმა დაადგინა, შემდეგი კრება 11 თებერვლისათვის მოიწვიოს და საგანგებო ბარათებით სთხოვოს ბიუროს წევრებს, რომ ამ კრებას აუცილებლად დაესწრონ და თან წარმოადგინონ თავისი ნამუშევარი.

◆ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა [illegible] დამხმარე საზოგადოების გამგე კომიტეტის კრება 5 თებერვალს მოხდა თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში გენერალ გ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. კრებაზე მოწვეულ იქმნენ გარეშე პირნიც. კრების მიზანი იყო, გამოერკვია როგორის ტიპის სკოლად გადააქციონ ქართულ გიმნაზიასთან არსებული საქალებო გიმნაზია: გახადონ იგი საზოგადო საგანმანათლებლოდ, პროგიმნაზიულად, თუ პრაქტიკულ სკოლად, როგორიც მრავლად არის ევროპაში. მოხსენების შედგენა სკოლის სასურველ ტიპისა და პროგრამის შესახებ კრებამ საგანგებო კომისია[ს] დაავალა. კომიტეტის კრების გაგრძელება მოხდება დღეს, 8 თებერვალს, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

◆ **მთავარ სამპოლიტეხნიკუმო კომიტეტის** კრება 6 თებერვალს მოხდა ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში მეფის მოადგილის თანაშემწის პეტერსონის თავმჯდომარეობით. კრებას კომიტეტის 40-დე წევრი დაესწრო, მათ შორის საგანგებოდ ამ კრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულნი ქალაქის მოურავები და სხვანი. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა კრებას წაუკითხა კომიტეტის სამოსწავლო კომისიის მოხსენება მომავალ პოლიტეხნიკუმის პროგრამისა, შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. როგორც მკითხველებმა იციან, პოლიტეხნიკუმს თავდაპირველად ოთხი განყოფილება უნდა ჰქონდეს: სამექანიკო, საქიმიო, სასოფლო-სამეურნეო და საეკონომიო. სამოსწავლო კომისიის მუშაობაში კომისიის წევრთა გარდა მონაწილეობას იღებდნენ საგანგებო მოწვეული პირნი: პროფესორი მელიქიშვილი და ბოტანიკოსი ფომინი. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა პოლიტეხნიკუმის სამზრუნველო საბჭოს შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, პროფ. მელიქიშვილმა, პ. ა. გოთუამ, სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგემ ბეზობრაზოვმა. ბაქოს წარმომადგენლებმა სკრეპინსკიმ და ტერ-ისრაელიანცმა, ტფ. ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა, ბათომის ქალაქის მოურავმა თ-დმა ანდრონიკაშვილმა, ა. ს. ბაბოვმა და მ. ნ. ათაბეგოვმა. კრებამ დიდის კამათის შემდეგ დაადგინა: სამზრუნველო საბჭო შესდგებოდეს 15 კაცისაგან. სამზრუნველო საბჭოს ფართო უფლებანი უნდა მიეცეს და მის წევრებად უნდა იყვნენ წოდებათა, დაწესებულებათა და პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ ფულის შემწირველთა წარმომადგენელნი. სამოსწავლო გეგმის განხილვის დროს ბაქოს ნავთის მრეწველთა წარმომადგენლებმა გულიევმა და სკრეპინსკიმ მოითხოვეს, რათა სამექანიკო განყოფილებაზე ნავთის საქმის კათედრა დაარსდეს. კრებამ ეს წინადადება მიიღო. ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა პ. ა. გოთუამ მოითხოვა, რომ ადგილობრივ პირობათა გამო საეკონომიო განყოფილებაში აუცილებლივ სწარმოებდეს აღმოსავლეთის ენათა სწავლება. კომიტეტმა ეს წინადადებაც მიიღო. პ. ა. გოთუასავე მოთხოვნით კრებამ საჭიროთ სცნო, მსმენელთათვის ყველა განყოფილებაში სწარმოებდეს ქართულ, სომხურ და თათრულ ენის სწავლება. კომიტეტმა მთელის მასალების განხილვა ვერ მოასწრო. კრების გაგრძელება გუშინ საღამოსთვის იყო დანიშნული.

სასამართლო

◆ დეპეშათა სააგენტო პეტერბურგიდან იტყობინება: სენატმა გაარჩია საკასაციო საჩივარ [illegible] თლებულებს დადიანის [illegible] რომელთაც ტფილისის სამოსა თლო პალატამ კატორღა გა წყვიტა ქუთაისში თავ. დადეშქ ანის მოკვლის გამო. სენატმა ადგინა განყოფილებიდან საქმე ს ტის დეპარტამენტს გადასცეს ი კითხის გამოსარკვევად, თუ რ ნად კანონიერი იყო შემადგენ ტფილისის სამოსამართლო პა იმ კრებულისა, რომელმაც ეს ს გაარჩია.

ქუთაი

◆ შიმშილობის შესახებ სა ბათაშორისო კომისიამ ქუთ 1 თებერვალს დაასრულა მუ თათბირში მიაწილეობას ლობდნენ ზუგდიდისა და მაზრის მომრიგებელი მოსამარ ები მამფორია და ერისთავი, მაზრის უფროსი გამრეკე ოზურგეთისა—მახარაძე, შორაპ მანსვეტაშვილი და კავკასიის მოადგილის კანცელარიის წარ დგენელი ავგუროვი. თათბირზ მოირკვა, რომ სენაკის, ზუგ და ლეჩხუმის მაზრებში, თუმც ცოტა მოუსავლობა, მაგრამ მაინც სხვის დაუხმარებლად გა თავსო; დანარჩენ ოთხ მაზრაში თბირმა აღიარა მოუსავლობ დაზარალებულთა დახმარების როება. დახმარება უნდა აღმოე ქუთაისის მაზრაში 23 საზოგად ოზურგეთისაში—15-ს, შორაპნი რაჭის მაზრებში ყველა საზოგა ბას, გარდა კიწყისა. გამოირ რომ ყველაზე მეტს დახმარებას რაპნის მაზრის მცხოვრებლებ ჭიროებენ. შორაპნის მაზრა ათასი მანეთის დახმარება მ ქუთაისის მაზრას 270 ათასისა, ქისა და ოზურგეთის მაზრას თ 50 ათასის. მცხოვრებთ დახმ რვა თვის განმავლობაში მიეცე გამონაკლისით თითო დილს სულზე 1 ფუთი თვეში, რე წლოვანზე ნახევარი ფ დრეიფუსის ფირმის წარმომად ლმა სასურსათო დახმარების კ სიას წინადადება მისცა საქ სიმინდს ჩვენ მოგცემთ ფუთს 1 და 2 შაურადო. ამ მიზნით გავხსნ სადაც საჭირო იქნება. საწყობ საიდანაც შეეძლებათ სიმინდის ლება მცხოვრებთ მამასახლისის ბართვითო. კომისიამ სიმინდის ძვირად სცნო და ფირმის წინად ბა არ მიიღო. გურიისათვის საქ სიმინდს გურიაშივე იყიდიან, ხო სხვა მაზრებისათვის კი ჩრდილ კავკასიიდან მოიტანენ.

◆ 19 თებერვალს საკრებუ დარბაზში გაიმართება ფრიად ტერესო საღამო, რომლის შე ვალი მოხმარდება ქუთაისში რაზნულ საკომერციო სასწავლებ

გლეხთა განთავისუფლება საქართველოში.

1.

შინაარსი: მეორე აქტი გლეხთა განთავისუფლებისა. ხიზანთა საკითხი. ვ. გელოვანის ორიგინალური პოზიცია. რას წარმოადგენს ხიზნობა? აქ. ფეოდალიზმი: პატრონატი, კომენდაცია, იმუნიტეტი. რეზიუმე.

კიდევ რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ საქართველოში სრულიად მოისპოს ბატონ-ყმური წესწყობილება. 1914 წელში სწორედ ორმოცდაათი წელიწადი შესრულდება, რაც რუსეთში 19 თებერვლის (1861 წლ.) შესანიშნავს აქტს საგანგებო დებულების დამატებით 1864 წელს ამერეთში (ტფ. გუბ.) და 1865 წელს იმერეთში (ქუთ. გუბ.), უდიდესი ლახტი დაეცა ბატონ-ყმობას. მაგრამ მთელი ნახევარი საუკუნე გავიდა და ჩვენს ბედკრულ ქვეყანას არ ეღირსა ბატონ-ყმობის დუხჭირს წესდებიდან სრულიად თავის დაღწევა. მხოლოდ შესანიშნავი 1905 წ. გლეხ-კაცობის რევოლიუციონურ მოძრაობის შემდეგ იძულებული გახდა მთავრობა სათანადო ზომებით გლეხ-კაცობის ცხოვრება მოექცია ელემენტარულს მოქალაქობრივს წესებში; და ეს ზომები, პირველ-ყოვლისა, 1912 წლის 20 დეკემბერს კანონში იხატება, რომლითაც დროებით ვალდებულთა ინსტიტუტი სამუდამოდ გაუქმდა. არა ერთი და ორი მილიონი მანეთი დაუჯდა საქართველოს ისედაც გაფცქვნილ გლეხ-კაცობას დროებით ვალდებულობის ინსტიტუტის თავიდან მოშორება. 7,4 მილიონი მანეთი უნდა გადაიხადოს ჩვენმა გლეხ-კაცობამ მთელს 30—40 წლის განმავლობაში, რომ სამუდამოდ დაივიწყოს სიმწვავენი ხსენებულ ინსტიტუტისა. მაგრამ არა არც ამით დაკმაყოფილდნენ ჩვენი ძმართველ-პატრონნი. დროებით ვალდებულობის მოსპობა კიდევ არ არის საბოლოოდ შესრულებული. კიდევ არა ერთი წელი და არა ერთი ასიათასი მანეთი გადახდება ამ დატაკებულ გლეხებს, რომ სერვიტუტის საკითხიც სამუდამოდ გადაიჭრას.

და ჯერ საკითხი სერვიტუტისა განზეა დატოვებული. **ხიზანთა ინსტიტუტის** გაუქმებას მთავრობა მეორე ადგილს უთმობს. და ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მეფის მოადგილეს კანცელარია გვაუწყებს, რომ იგი შეამზადებს და საკანონმდებლო დაწესებულებებში წარადგენს სათანადო კანონ-პროექტს სერვიტუტის შესახებ, სადაც დროებით ვალდებულთა და ხიზან გლეხების ინტერესები ერთნაირად იქნებიან გადაწყვეტილნი[1] ამნაირად, დღევანდელი აქტი ხიზანთა საქმის შესახებ გლეხთა განთავისუფლების მეორე აქტია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება მესამე და უკანასკნელი აქტი—სერვიტუტების შესახებ, რომლითაც ფორმალურად დასრულდება სავსებით გლეხთა განთავისუფლების საქმე. მესამე აქტზე—სერვიტუტების შესახებ—ჩვენ თავის დროზე გვექნება სათანადო საუბარი „სახალხო გაზეთი“-ს მკითხველებთან, ამ ჟამად კი საჭიროდ მიგვაჩნია გლეხ-ხიზანთა საქმის მდგომარეობას შევეხოთ და ნათელი გავხადოთ ჩვენი საზოგადოებისათვის მისი ასავალ-დასავალი.

ამავე დროს ხიზანთა საქმეს ერთი ფრიად საინტერესო ფაქტორი ერთვის, რაიცა სრულიად ახალ მიმართულებას და ახალ გზას გვიხსნის საგლეხო რეფორმაში. ჩვენი დეპუტატის, ვარლამ ღლევანისძე გელოვანის, პოლიტიკის ძიმართულებამ, უეჭველია, მეტად შინაარსიანი და საინტერესოდ გარდააქცია თვით კითხვა, პროექტი ხიზანთა საქმის ჩამოყალიბებისა. იგი პოლიტიკა—პროექტი—მართალია ამ ხანად მოკლებულია წმინდა პრაქტიკულ მნიშვნელობას, მაგრამ მოვა დრო და გელოვანის მიერ დღეს წამოყენებულ პოლიტიკის მიხედვით გადაწყდება მთელი აგრარული წეს-წყობილება ჩვენი სოფლებისა. დიაღ, დეპუტატ ვარლამ გელოვანის პოზიცია ერთიანად ეწინააღმდეგება მთავრობის პოზიცია-პოლიტიკას, იგი ერთიანად სთრგუნავს ქართველ თავად-აზნაურობის ინტერესებსაც და სრულიადაც არ იღებს იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგიან სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახით ჩვენი დასელები. ჩვენი დასელების პროექტი მართალია მთავრობისა და თავად-აზნაურობის პროექტებთან შედარებით რადიკალურადა სჭრის ხიზანთა ყოფის საკითხს, მაგრამ დასელთა პროექტი მხოლოდღა საკითხის გადაჭრითა კმაყოფილდება, როდესაც დეპუტატ ვარლამ გელოვანის პროექტით ხიზანთა საკითხის რადიკალურად გადაჭრის დროს სწყდება აგრეთვე ხიზანთა **კეთილ-ყოფის** საქმეც, იგი პროექტი მომავლისათვის ამტკიცებს ხიზანთა საზრიან ბედნიერებას და იწვევს იმ საწარმოვო ძალთა განვითარებას, რომელსაც აგრე ელის ყოველი დემოკრატიულ-პროგრესიული პარტია ამა თუ იმ რეფორმის განხორციელებით. ამნაირად, ვარლამ გელოვანის პოზიცია ხიზანთა საკითხში ფრიად ორიგინალურია, სრული, რადიკალური. იგი მეცნიერული კრიტიკაა ყველა არსებულ პროექტებისა, ღრმა შეხედულებაა თვით საკითხზე და ამიტომ ამ პოზიციის სათანადოდ გასაგებად საჭიროდ მიგვაჩნია ხიზანთა საკითხის როგორც არსება, ისე მისი ისტორია და ყოველი მხარე აქ გადავშალოთ.

ხიზანთა საკითხი, რამდენადაც იგი ძველი წყობილების ერთ საზოგადოებრივ კათეგორიას წარმოადგენს, საინტერესო იყო წინადაც და საინტერესოა დღესაც. მისი სათანადოდ გაშუქება მეტ სინათლესა ჰფენს იმ წარსულს ჩვენი ცხოვრებისას, რომლის შესახებ მეცნიერულ შეხედულებანი ამ დარგის ლიტერატურაში. მეტად სუსტია ჩვენში. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო საზოგადოების ფართე წრეებისათვის იგი საკითხი მესამოცე წლების რეფორმების შემდეგ შეიქნა, როდესაც მთავრობა იძულებული დარჩა ჩვეულებით განმტკიცებულ ინსტიტუტი გლეხსა და ბატონის შორის ხორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად კანონის ფორმებში ჩამოესხა. პრაქტიკული მოსაზრება, რომლის საფუძველი მდგომარეობს კერძო საკუთრებაში, მოგება-წაგების ინტერესში, უეჭველია საგნის სათანადოდ განხილვას ხელს უშლის და ხშირად შეუძლებლადაც ხდის ხოლმე. ეს მარტო ჩვენი ცხოვრების „მკვლევართა“ თანდაყოლილი სენი როდია, ასეთი ინტერესი და მისწრაფება ხსენებულ პირობებში ყოველ ქვეყნის და საზოგადოების წრეში ჩნდება და, ცხადია, მის წინაშე არავინ უნდა დაბრმავდეს. რუსეთში, ბატონ-ყმობის გადაგდების წინა ხანებში ვ. ბელიაევი დაბეჯითებით ამტკიცებდა თავის წიგნში „Крестьяне Руси“, რომ საბატონო გლეხები ძველად თავისუფალი ხალხი იყო, საიდანაც ბელიაევს გამოჰყავდა მემამულეთათვის სასარგებლო საპრაქტიკო დასკვნები, მაგრამ ამის შესახებ ისეთი სერიოზული მეცნიერი, როგორიც გახლავთ—აწ უკვე განსვენებული პავლოვ-სილოვანსკი, ამბობს, რომ „ბელიაევი სწერდა თავის წიგნს მაშინ, როდესაც სწყდებოდა გლეხ-კაცთა განთავისუფლების საკითხი და ბელიაევს **უნდა ეჩვენებინა**, რომ გლეხობა ძველად დიდხანს თავისუფალი იყო“.[2] ბელიაევს მრავალი „მკვლევარი“ უდგა გვერდში, რომელნიც თანამედროვე იურიდიულ ცნებათა თუ აქტების გარჩევით ამტკიცებდნენ ბელიაევისებურს აზრებს, რომელთა „ნაკვლევებს“ პავლოვ-სილვანსკი, კლიუჩევსკი და სხვა ელემენტარულ კრიტიკის ღირსადაც არა სთვლიან. სწორედ ბელიაევისებური მწერლებით გაივსო ამ ბოლო ხანს ჩვენი ქართული და ადგილობრივი რუსული ლიტერატურა. თითქმის აღარც კი დარჩენილა არც ერთი—ჩვენი ქვეყნის, „მცოდნე“—სახელმწიფო მოხელე, სათავად-აზნაურო დაწესებულებათა მოსამსახურე, ამ დაწესებულებათა გროშებით მოარსებე პრესის „ხალხი“, რომ ხიზანთა საქმეს არ შეხებოდა და რაიც ფრიად დამახასიათებელია—საგანზე მეცნიერულის კილოთი არ ბაასობდეს—როგორც მაგალ. ვეიდენბაუმი, აფხაზი, ან-ფარი და სხ... საპოლიტიკო ხასიათის მასალის ხელის ხლება და ციფრების გამოყენება დღეს დიდ სიბრძნედ არის მიჩნეული და თუ კი მიმატება-გამოკლება შეუძლიან მოხელეს, იგი სტატისტიკოსის მედიდურის კილოთი იწყებს ლაპარაკს, თითქოს მათი ბაგეთი ცხადდებოდეს პირუთვნელი სიმართლე. იმას კი არ დაეძებენ, რომ სტატისტიკას და ისტორიას არითმეტიკასა და ქრონოლოგიის გარდა ესაჭიროება კიდევ მეცნიერული მომზადება, არსებობა იმ უნარისა, რომლითაც სუბიექტიური ხასიათის ლტოლვილებანი ჰქრებიან ობიექტიურ სინამძვილეს წინაშე. აძიტომაა, ჩვენ სრულებით ვერ გვაკმაყ ლებს როგორც ალ. ყიფშიძე, ნალი „კლდე“, „ზაკავკ. რეჩი“, კავკაზიე“, „კავკაზი“ იქე ყველ მოხელენი, რომელთაც პირობ ამშვენებს სხვა და სხვა საკანონმ ექტის, „ზაპისკების“ თუ მოხსენ ბის ფურცლებს.

დიაღ, ხიზანთა საკითხი „მძიმე კითხი“-ა, გაცილებით მძიმევინმ მე ბ. ფარი, შ. ამირაჯიბი, გ. რ კახელი. იგი ამავე დროს სერიოზ ლად სრულიად გაურკვეველია, ცა საკითხის გასარკვევად სათა ნაბიჯები გადადგმულია უკვე ზემოხსენებულ პირთა „ნაკვლ ბით“, არამედ განსვენებულ პრ სორის, ალექსანდრე სოლომონ ხახანაშვილის, ახალგაზრდა მკვ რის პრ.-დოცენტ სვიმონ ავალ და სხ. მიერ. მართალია, ხახანაშ ავალიანს და სხ. საგანგებოდ ზანთა საკითხი არ გამოუკვლევ მაგრამ ამათი ნაწერები თანამედ ვე მეცნიერების ზღუდეებზე ნებულნი მხოლოდ-და შეგვაძლ ნებს ხიზანთა საკითხის შესახებ დვილ შეხედულებას მივყვეთ. ხასიათებელია, სათ.-აზნაურო ბებიდან და ცირკულიარებ ამოკრეფილ აზრებით მოღ მოხელე-მკვლევარნი სრულიად იხსენიებენ ამ პირთა, თუ მეც რების შეხედულებათ ამ საგ მაგრამ სად მოხელეები და სად ნიერები!

დეპუტატი გელოვანი, რა უნდა, ვერ დაემყარებოდა „ჯა ლიარულ მეცნიერებას“ და საკითხს მართლა სერიოზულ ნიერულ ნიადაგზე აყენებს და ტომ მეცნიერულადაც სჭრის ჩვენ ამ მხრივ საკითხს რამდენ შევეხეთ უკვე. ახლა საჭიროა რო განვმარტოთ იგი.

---

[1] *) მართალია, აგრე ფიქრობს მეფის მოადგილის კანცელარია, მაგრამ ჩვენი თავად-აზნაურობა სხვა ჰანგებს ემხრობა და იგი უარყოფს ხიზანთა ყოველგვარ „უფლებას“, სერვიტუტის საქმეში. მაგრამ ამაზე ცალკე.

[2] Павловъ-Сильванскій „Феодализмъ въ удѣльной Руси“ გვ. 200.

საღამო დაიწყება ცოცხალი სურათით: შუაში წარმოდგენილი იქნება ვაჭრობის ღმერთი მერკურიუსი, აქეთ-იქით კი ძველი და ახალი ვაჭრები, წინ დამსხდარი იქნებიან საკომერციო სასწავლებლის მოწაფენი. სურათის დროს **აკაკი** წარმოსთქვამს შესაფერ სიტყვას. საღამოზე მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდან მოწვეულნი არიან მომღერლები ქ-ნი **საბანეევა** და **ოსიკო ბარათაშვილი**. საზოგადოდ პროგრამა საინტერესოა და მრავალ-ფეროვანი. იმედია, რომ ქუთაისის საზოგადოება სრულის თანაგრძნობით შეხვდება ამ ფრიად სიმპატიურ საღამოს და მით ხელს შეუწყობს ქუთაისში კომერციულ სასწავლებლის გახსნას, რომელიც ეგრე საჭიროა დასავლეთ საქართველოსთვის. საღამოს გამგეა **მარიამ გოკიელისა.**

სიღნაღი

◆ **ქალაქის რწმუნებულთა საგანგებო კრებამ,** რომელიც ამ დღეებში მოხდა, მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ რა გზით აღადგინოს სამოქალაქო სკოლის შენობა, რომელიც ცეცხლმა იმსხვერპლა. კრებამ დაადგინა: 1) ეთხოვოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ჩაიბაროს შენობა იმ სახით, როგორც ახლა არის, მთელის ძირით, იმ პირობით, თუ იქ უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლას გახსნის დაბალ სახელოსნო და შინა-მრეწველობის განყოფილებით და 2) თუ მზრუნველი ამ პირობას არ დასთანხმდება, მაშინ შენობა კვლავ აღადგინოს იმ 4,520 მანეთით, რომელიც ქალაქმა დამზღვევ საზოგადოების „როსსია“-საგან უნდა მიიღოს და ეთხოვოს მთავრობას, რომ ხაზინიდან სკოლას 5,000 მან. მიეცეს დახმარებად.

ახალციხე

◆ **ქალაქის რწმუნებულთა კრებამ** დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა, რათა ახალციხის სავაჟო ოთხკლასიანი გიმნაზია რვა კლასიანად იქმნას გადაკეთებული იმ პირობით, რომ ყოველ წელიწადს თითო კლასი გაიხსნას, 2) აღიძრას შუამდგომლობა, რათა ახალციხის მაზრაში ფულის შეკრების ნება დართონ გიმნაზიის შენობაზე მეორე სართულის დასადგმელად, 3) მიეცეს კობლიანის სახაზინო ტყიდან უფასოდ მეორე სართულისთვის საჭირო ხე-ტყე და 4) შესდგეს სამშენებლო კომიტეტი, რომლის წევრებადაც იქმნებიან: გიმნაზიის ინსპექტორი გ. მ. კორიცკი, ქალაქის მამასახლისი გ. ნ. მოსესოვი და რწმუნებულნი: გ. ი. ბუდუღოვი, ს. პ. ვირაბოვი, მ. გ. კუპალოვი და ა. გ. მურადოვი.

სამღვდელოების კრება

სამღვდელოების კრებამ, როგორც საოლქომ, ისე საეპარქიომ, დაასრულა ყველა საკითხი განხილვა. საოლქო კრებას დეკ. კომარის თავმჯდომარეობით მინდობილი ჰქონდა მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის რეორგანიზაციის საკითხი. საოლქო კრებამ დაადგინა, მომავალ სამოსწავლო წლიდან დახურულ იქმნას მეორე განყოფილება, რომლის შენახვაც ახალ ხარჯთ-აღრიცხვით სამღვდელოებას ძალიან ძვირად უჯდება. მის ნაცვლად უნდა დაარსდეს საანბანო განყოფილება, რადგან სამღვდელოება ვერ ახერხებს შვილების მომზადებას სასწავლებლის გარეშე და ხშირად კარში რჩებათ მოუმზადებლობის გამო. განყოფილების მასწავლებელს წლიურად 600 მანეთი დაენიშნა. მომავალ სამოსწავლო წლიდანვე უნდა გაიხსნას მეხუთე კლასი, ხოლო შემდეგ წელს მეექვსე. კრებამვე დაადგინა სასწავლებლის სივიწროვის გამო შეიძინოს მომიჯნავე ნურალოვის შენობა 27 ათას მანეთად. ეს თანხა ზოგი სასწავლებლის წყაროებიდან შესდგება, ზოგი ეკლესიებზე ზედგაწერით. სასწავლებლის ეკონომადაც უნდა მოიწვიონ საერო პირი 600 მანათის ჯამაგირით.

საეპარქიო კრებამ მოისმინა ფრიად საინტერესო საკითხი—დეპეშა ნიქოზის მღვდლის მ. დავითაშვილისა, რომელიც იწერება ტაძრის შენობის უფერულ მდგომარეობაზე. ეს დეპეშა ფუძედ დაედო სამღვდელოების კრებას, რომელსაც მოხსენდა რომ მთელი წყება ტაძრებისა და მონასტრებისა, რომელნიც ძვირფას სახუროთმოძღვრო განძს შეადგენენ მაგალითად: 1) ჯვარ-პატიოსანის ტაძარი მტკვრის არაგვთან შესართავთან. 2) მეტეხის ტაძარი (გორის მაზრაში) 3) სოფ. ენისლის მთავარ ანგელოზის ტაძარი. 4) ტაძარი წმ. მეფე არჩილის და წმ. დედოფალ ანნას საფლავზე (ერწოს ველზე), 5) წილკნის ტაძარი, 6) რუისის ფერისცვალების ტაძარი, 7) ატენისა, 8) სიონისა, 9) საგარეჯოს პეტრე-პავლესი, 10) ყაზბეგისა, 11) სარგვისისა, 12) ტივისა, 13) ოქრო-კარიანისა, 14) დვირისა, 15) თილოთის უბნისა, 16) საქუნეთისა და სხვა და სხვა. ამ ტაძართა ყველა გუჯრები და აქტები უკეთილმსახურესი ქართველ მეფეებისა და დედოფლებისა დავით აღმაშენებლის, წმ. თამარ მეფისა, კარის კაცთა ჰიაბერისა, შოთას და სხ. მოწმობს, რომ ყველა მიწები, ზემოაღნიშნულ პირთაგან შეწირულნი, უნდა შეადგენდეს უმთავრეს წყაროს ამ დიდებულ ნაშთთა შესამშვენიერებლად და სახის დასაცავად. კრებამ დაადგინა, ამ ტაძართა და მონასტერთა ამნაირ უფერულ მდგომარეობისა გამო, რომელთაგანაც ზოგი მათგანიდან მხოლოდ ნანგრევები ღა დარჩენილა, ზოგი მათგანიც კი როგორც, მაგალითად, მეხუთე საუკუნის დროის ნიქოზის ტაძარი თითქმის ინგრევა, კიდევ აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობით, რათა განკარგულება მოახდინოს სათანადო მთავრობამ, რომ იმ თანხიდან რომელსაც იძლევა ამ ისტორიულ ნაშთთა კუთვნილი მიწების შემოსავალი, გამშვენიერებულ იქმნეს ეს ტაძრები და მონასტრები. კრებამ გადასდო 4 ათასი მანეთი დედათა საეპარქიო სასწავლებელში საელექტრონო სინათლის გამოყვანაში გაწეულ ხარჯების დასაფარავად და თანაც წინადადება მიეცა სასწავლებლის გამგეობას, ხარჯებში შემდეგისთვის ხელმოჭერილი იყოს. კრებამვე გადასდო 300 მან. ეგზარხოსის ხოროს შესანახად ერთის წლის ვადით. დაამტკიცა აგრეთვე ანგარიში საეპარქიო სანთლის ქარხნისა, და აირჩია ქარხნის მართველად მღ. ჯაჯანაშვილი, გამგედ მღ. მიქელაძე და საქმის მწარმოებლად მღ. ნათიძე, ხოლო მათ კანდიდატებად მღვდლები ს. ზედიაშვილი და ს. სალარიძე. სიონის საკათედრო ტაძრის წინ მოედნის გამართვის შესახებ კრებამ დაადგინა, მუზეუმი ისევ ძველ ადგილას იქმნას დატოვებული და არ იქმნას ეს შენობა დანგრეული, ვინაიდან სიონის ტაძარი და საეკლესიო მუზეუმი ურთმანეთოდ წარმოუდგენელია. კრების დახურვის წინ სამღვდელოების მიერ არჩეულმა ცალკე დეპუტაციამ ინახულა მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვისა და შტაბ-ოფიცრის მეუღლე ქ-ნი პოპოვისა, გრაფინიას უღრმესი მადლობა გადაუხადა იმ უხვ შეწირულებებისა და ყურადღებისათვის, რომელსაც იგი უწევს დედათა საეპარქიო სასწავლებელს, ხოლო ქ-ნ პოპოვისას იმ შრომისათვის, რომელიც მან მიიღო სასწავლებლის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვაში, საიდანაც სასწავლებელს ნაღდ ფულად 4 ათასი მანეთი დარჩა.

გუშინ, დილის 11 საათზე, დეპუტატები შეიკრიბნენ არქიელის ეკლესიაში და ეგზარხოსისა და ეპ. ანტონის თანამწირველობით გადიხადეს პანაშვიდი ყველა გარდაცვლილი ეგზარხოსების სულის მოსახსენებლად. შემდეგ ეგზარხოსმა მიიღო სამღვდელოება სადარბაზო ოთახში, სადაც კრების თავმჯდომარემ მღ. ს. ხუნდაძემ ჯერ მადლობა მოახსენა სამღვდელოებაზე ზრუნველობისთვის და შემდეგ გადასცა თხოვნა ეპისკოპოსთა კირიონისა და დავითის და აგრეთვე არქიმანდრიტ ამბროსის დაბრუნების შესახებ.

გუშინ 2 საათზე კრება დაიხურა.

ნავთის ნიშნები გორის მაზრაში

ამ ბოლო ხანებში ხმა გავრცელდა, გორის მაზრაში, მდინარე თეძამისა და ქავთურას შუა, ნავთის ნიშნები გამოჩნდაო. ამ რაიონის ერთმა მემამულეთაგანმა ჩვენს რედაქციაში შემოიტანა სამთო მმართველობის გეოლოგის ბ-ნი ვ. ვ. ბოგაჩევის გამოკვლევა. თანახმად ამ გამოკვლევისა ზემოხსენებულ რაიონში არის ისეთი ნიშნები, რომ საჭირო და სასარგებლო უნდა იყოს დაწვრილებითი გამოკვლევის მოხდენა. ნავთის გასავალი ვარაუდით უნდა იყოს სადღაც კასპის პირდაპირ. ასეთივე ნაბიჯი აღმოჩენილა აგარაკ კავთისხევში, ეგრედ წოდებულ საკუპრეში. ნავთით გაჟღენთილი ქვიშა აღმოჩენილა სამგლეხევშიაც, ლეხურის პირდაპირ.

ფიქრობენ, რომ ის ადგილებიც, რომლებიც მანთაშოვმა შეიძინა ჯერ მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ამ ბოლო დროს კი მარჯვენა ნაპირზედ, გაგრძელებაა ამ ნავთიანი ადგილებისა.

წერილი ქუთაისიდან

ვისაც თავის შვილი უყვარს, იმას უსათუოდ ის სასწავლებელიც უნდა უყვარდეს, სადაც მისი შვილი სწავლობს. შვილები ყველას გვიყვარს, მაგრამ ყველა ის სასწავლებლები, სადაც ჩვენი შვილები სწავლობენ კი არ გვიყვარს. არ გვიყვარს უმთავრესად მიტომ, რომ ჩვენ შვილებს ჩვენი ტურფა და ლამაზი სამშობლოს სიყვარულს არ უნერგავენ გულში და ჩვენს ენას ღირსეულ პატივს არა სცემენ. ქუთათურ ქალთა სასწავლებლებს შორის მშობლებისათვის ყველაზე უფრო საყვარელი ქალთა ეპარქიალური სასწავლებელია. ამ სასწავლებელში ღირსეული ყურადღება აქვს მიქცეული სამშობლოს სიყვარულს და ქართულ ენას და ჩინებულად და პედაგოგიური შეგნებით გადიან რუსულ ენასაც. ყველა ამაში ნათლად დავრწმუნდით ამ სასწავლებელში 29 იანვარს გამართული სალიტერატურო საღამოთი. სასწავლებლის დარბაზი სავსე იყო სტუმრებით, რომელთა უმრავლესობას ინტელიგენცია შეადგენდა. ქალიშვილები მკვირცხლად, მოხდენილის მიხვრა-მოხვრით კითხულობდნენ ზეპირად ქართულ-რუსულ ლექსებს; ბევრმა მათგანმა თავის საკუთარი ლექსები სთქვა, რომლებიც რამოდენიმეჯერ გაამეორებინეს. ქალიშვილებისაგან შემდგარმა გუნდმა, მასწავლებლის ბ-ნ ხიზანაშვილის ლოტბარობით, საუცხოვოდ შეასრულა სხვა და სხვა ქართული სიმღერა. ბოლოს ცოცხალი სურათები გვაჩვენეს. სალიტერატურო საღამო ქართული ცეკვით დასრულდა. ერთის სიტყვით, სასიამოვნო სანახავი იყო ეს საღამო.

მიხეილ ბუაჩიძე.

მოწერილი ამბები

ქ. ახალციხე. ახალციხის ქართველთა შორის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებამ კვირას, 26 იანვარს, მართლმადიდებელთა ტაძარში. გადიხადა ადგილობრივ ქართველ საზოგადოების თანადასწრებით პარაკლისი კოტე ყიფიანის სადღეგრძელოდ.

შაბათს, 1 თებერვალს, ღამის 11 საათზე, პოზოევის მაღაზია' ცეცხლი გაუჩნდა. უნდა შევნიშნო, რომ პოზოევის მაღაზია ერთ-პირველთაგან ითვლებოდა ქალაქში, როგორც ვაჭრობით, ისე სიმდიდრით. პოზოევი ვაჭრობდა რკინეულობით. ცეცხლი სწრაფ მოედო მის სახლს და მთელი შენობა ნაცრად იქცა. აქაური შენობები ცეცხლს ძლიერ ხელს უწყობენ, რადგანაც უმეტესი ნაწილი ხის მასალისაგან არის აშენებული, ისიც ფიჭვისა და ნაძვისაგან. ცეცხლი იმდენად გაძლიერდა, რომ მოკლე ხანში მოედო ახლო-მახლო მაღაზიებს და 1—3 საათის განმავლობაში 4—5 მაღაზია გადაიწვა.

რადგანაც მოსალოდნელი იყო მთელ უბანს მოსდებოდა ცეცხლი, მახლობელ მაღაზიის პატრონებმა ხელადებით თავიანთი სავაჭრო გამოზიდეს და მოშორებით გაარიდეს. სწორედ მტრის შემოსევა ეგონებოდა კაცს; სხვა და სხვა ნივთები, სავაჭროები აწეწ-დაწეწილი დომხალივით იყო ერთი-ერთმანეთში არეული. იქ შენობას ანგრევდნენ, იქ ვედრებით ნივთებს ეზიდებოდნენ...

ამ მაგალითმა მაინც გამოაფხიზლოს ქალაქის მამანი, მით უმეტესი, რომ ახალ ციხეში ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის. სულ ყველას რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე რიგიანი ადვილად საზიდი და მაგარი ბოჩკები მაინც უნდა იქონიოს ქალაქმა. ჯარების გამართულმა ბოჩკებმაც კარგა სიკეთე გაუწიეს ცეცხლის ქრობას.

ხელადებით ცარიელნი დარჩნენ პოზოევი, რომელსაც რამდენიმე ათასი მანეთის სავაჭრო დაეწვა, ტორკმანინცი, მამიკონიანცი, მარკუჰჩიანცი, ხოლო სხვებმა რიცხვით ათიოდე მოვაჭრემ იზარალა იმით, სავაჭრო ადგილიდან დაძრეს და ამასობაში ბევრი რამე გატყდა, ბევრი დაიკარგა.

ვ. სირაძე.

ჯავახეთის ჭირ-ვარამი

შარშანდელი წელიწადი მოსისხლე მტრად მოევლინა ჯავახეთს. მოსავალმა, ამ ერთად-ერთ წყარომ შემოსავლისამ პირი უბრუნა მცხოვრებს და შინაურს საქონელს. პატრონს სამათხოვროდ ხელი გააწვდენინა, ხოლო მის მარჩენალ საქონელს სასაკლაოსკენ მიუთითა. მეტმა ნაწილმა საუკეთესო მუშა საქონელი ჩალის ფასად დაჰკარგა. დიდი დახმარება გაუწია გაჭირვებულებს „მალაზის ფულებმა“. თითქმის ყველა სოფელმა გასაჩენით გამოითხოვეს ფული, რომელიც უკვე დაურიგდათ, ზოგს სოფლებს ფქვილი დაურიგეს. ჯერ-ჯერობით ამ საშუალებით მალამო დაედო გლეხს, მაგრამ გაზაფხულზე სათესლეა საჭირო. ზოგიერთ სოფლებს განუზრახავთ გაზაფხულზეც ითხოვონ სათესლე პური. ჰპირდებიან კიდეც. აღებული ფულის უკან შესატანი პირობები ერთობ შეღავათიანია—ეს ფული 6 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ ნაწილ-ნაწილად უსარგებლოდ. აი, როდის მოუტანდა აქაურ გლეხობას დიდ სარგებლობას საგლეხო ბანკი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქვეყანა რო ქვეყნად იქცეს ამ კუთხისთვის თავის დროზე არაფერია ხოლმე.

სწავლა-განათლების მხრივ ჯავახეთი თითქმის იმ წერტილზევე დარჩა, როგორც ამ ერთის წლის წინედ, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ორი-სამი ახლად გახსნილი სასწავლებელი. სკოლები თითქმის ყველა სოფელშია: მაგრამ ზოგიერთი მასწავლებლები პირდაპირ დანიშნულებას არ ემსახურებიან. თითქმის არც ერთ სკოლასთან არ არსებობს რომელიმე სახელოსნო და სამეურნეო განყოფილება. გლეხის პატარა ბიჭებისათვის ანბანთან ერთად რამე სასარგებლო ხელობა ან მიწის გონიერ დამუშავება, საქონლის გონიერ მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს. მეფუტკრეობისათვის აქ ძალიან კარგი ნიადაგია. გლეხთა გათვითცნობიერებაზე ლაპარაკიც მეტია. არც სახალხო კითხვები, არც წარმოდგენა აქ არ იმართება. გამართვა ყოველ მასწავლებელ-მღვდელს შეუძლიან, მაგრამ ვინ ჰფიქრობს ამათზე.

არც ერთ სოფელში სამკითხველო არ არსებობს. ასე რომ თუ რომელიმე წერა-კითხვის მცოდნე გლეხი წიგნების კითხვას ეტანება, წიგნს ვერა შოულობს, დობე ყორეს ედება, ეძებს წიგნს და ვინ იცის რას წააწყდება ზოგჯერ „დედა ენის“ მეორე ნაწილი დიდ სამსახურს უწევს ხოლმე ასეთ მაძიებელს: მთლად გაზეპირებული აქვს თავიდგან ბოლომდე. გაზეთ-ჟურნალის ხსენებაც არ არის.

ვიცი ზოგიერთი მღვდელ-მასწავლებელი, რომელნიც სრულიად არ არიან გაზეთს ჩვეულნი. ს. ქ—ს რამდენიმე გლეხმა ფული შეაგროვა ჟურ. „მოსავლის“ და „სასოფლო გაზეთის“ გამოსაწერად. მისამართი დაუწერე. „აქამდინ უნდა გამოგვეწერა, ჰამა მისამართი არ ვიცოდითო“. საჭიროა ხელმძღვანელი, საქმის მომწყობი, თორემ გლეხი უარს არ არის არც სამკითხველოზე, არც საგლეხო ბანკის დაარსებაზე. ხოლო თვითონ უნარი და ცოდნა არ შესწევთ ამათ მოსაწყობად.

არც ალ. ყიფშიძე, არც ან-ფარი, ვეიდენბაუმ-ნიკოლსკი, აფხაზი და სხ. არ უარყოფენ, რომ ხიზნობა წარმოიშვა ფეოდალურ, ბატონ ყმურ წესწყობილების დროს. პირიქით, თვით ტფილისის თავად-აზნაურობა, 1891 წლის სახიზნო კანონით უკმაყოფილო თავის მოხსენებაში[3] ბეჯითად იცავს იმ აზრს, რომ ხიზნობა ძველია, იგი ნამდვილი მეცხრამეტე საუკუნემდე არისო. ამ დებულებას სავსებით ვიზიარებთ ჩვენც. შემდეგ: აგრეთვე საყოველთაოდ მიღებული, აღიარებული გახლავსთ ის დებულება—აზრი, რომ ხიზნები წარმოადგენენ ჩვენი საზოგადოების იმ წრეს, რომელიც განიცდიდა მეტად ნივთიერ სივიწროვეს, არ ქონდათ მათ საკმაო მამული, რომ მისი დამუშავებით ცხოვრების ჭაპანი გაეწიათ. ამ შემთხვევაში, ფეოდალურ წყობილების ტიპიური (საბატონო) ყმა ხიზანისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ ხიზანი სხვა მხრივ არის საინტერესო მოვლენა, რომლის შეფასებაშიაც ჩნდება ჩვენი აზროვნობის სხვა და სხვაობა და საიდანაც გამომდინარეობს სხვა და სხვა ლოღიკური დასკვნები. მაგრამ დავაკვირდეთ აქ ცხოვრების სინამდვილეს, მეცნიერულ კვლევა-ძიებას და იგი სინამდვილე—სიმართლეს აშკარად დაგვანახვებს. თავად-აზნაურები თავიანთ საერთო მოხსენებებში, კრებებზე, და აგრეთვე ალ. ყიფშიძე, ან—ფარი და სხ. ნუსხავენ, რომ ხიზანი ფეოდალურ წეს-წყობაში საბატონო ყმისაგან განსხვავდება მით, რომ ხიზანი პირადად თავისუფალი ადამიანია. იგი ხიზანი, სადაც ჰსურს, იქ წავა, ვისაც ჰსურს თავს იმას შეაფარებს. მებატონე მისი ბატონი კი არა, იგი მფარველია, პატრონია.[4] **პატრონატს**—როგორც ინსტიტუტს მტკიცე საფუძველი ჰქონდა საქართველოს ცხოვრებაში. ამ ჟამად მრავალ მეცნიერთა გამოკვლევამ დაამტკიცა—და იგი მტკიცება საყოველთაო აქსიომად გარდაიქცა დღეს—რომ ფეოდალიზმი თავის სპეციფიურ მხარეებით ყოველ ქვეყანაში არსებობდა,[5] ხოლო თვით ფეოდალიზმის აღორძინება-განვითარებაზე, ფეოდალურ ცხოვრების ფორმებზე იმ საზოგადოებრივ პირობებს გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელნიც იწვევდნენ პატრონატს თავისი სხვა და სხვა ფორმებით. ფეოდალიზმის ისტორიკოსების, განსაკუთრებით რომაულ ისტორიკოსების მიერ „რომის იმპერიის დაცემიდან, პატრონატისა, მის მნიშვნელობის და ცვალებადობის ისტორიის განხილვა, ამბობს პავლოვ-სილვანსკი—ანახვებს მათ (ისტორიკოსებს) პატრონატში ფეოდალიზმის გამომწვევ ერთ მთავარ ძალას“.[6] გარდა ამისა, პატრონატი ფეოდალიზმს ახასიათებს მთელ თავის სიგრძე-სიგანეზე. იგი სხვა და სხვა ფორმაში იხატება ხოლმე. ფეოდალიზმის ისტორია გვიხსნის სხვა და სხვა ძალის პატრონატს, როგორც, მაგალითად, გვიჩვენებს უმჯობესად გადამუშავებული მასალები უცხო ქვეყნებისა მუნდებურდის და სხვ. სახელწოდებით (**mundeburdium, tuitio, defensio**“[7]). ყველა ამ ფორმებს პატრონატისას საძირკველი საპირადო და სამამულო კომენდაციაში აქვს, რომელთაც, როგორც პავლოვ-სილვანსკი ამბობს—თავისი ძალა გამოიჩინეს არა მარტო ფეოდალიზმის აღორძინებაში, არამედ იგი მნიშვნელობა პატრონატის საპირადო და სამამულო კომენდაციამ ფეოდალიზმის შემდეგ—ბოლო ხანებშიაც არ დაჰკარგა.[8] უეჭველია, კომენდაცია ფეოდალიზმის აუცილებელი მოვლენაა, იგი, ასე ვსთქვათ, მისი არსებაა, რადგანაც უკომენდაციოთ ფეოდალიზმიც წარმოუდგენელია. ამ დროს ფეოდის მფლობელი-მემამულე არა მარტო მამულის გამგებელი და უფროსია, იგი ამავე დროს ადმინისტრატიულ და სასამართლოს უფლების მესვეურიც არის. ამ დროში ადამიანი-პიროვნება სახელმწიფოებრივ უფლების სიძლიერეს ვერ განიცდის და მისი იმედი და სასოება ერთიანად დამყარებული არის მემამულე ბატონზე, როცა იგი ბატონი იქცევა აგრეთვე პატრონად. სხვა და სხვა სახის კომენდაცია სწორედ ამ პირობებში იფურჩქნება. საშუალო საუკუნოების შესანიშნავი მკვლევარი, პროფესორი პავლე ვინაგრადოვი ამბობს: „ამ ხანის (საშუ. საუკ.) ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ცენტრალურ მთავრობის უძლურება, რომელსაც არ შეუძლიან სამთავრობო ფუნქციების განხორციელება და მით ქვეშევრდომნი იძულებულნი ხდებიან ეძიონ მფარველობა კერძო პირებთან[9]“. ამნაირად, კომენდაცია აუცილებელი მოვლენაა, მაგრამ იგი შეიძლებოდა სხვა და სხვა ალაგას, სხვა და სხვა დროსა და პირობებში ჩამოყალიბებულიყო სხვა და სხვა სახელ. ფორმებში. საქართველოშიაც დიდი და განსაკუთრებული ალაგი ჰქონდა პატრონატს, როგორც ინსტიტუტს და კომენდაციას, როგორც საპატრონატო მოვლენას. საქართველოს სხვა და სხვა დროს და განსაკუთრებით მე XIV, XV, XVI და მე XVII საუკუნოებში საქართველოში „ცენტრალური მთავრობა“ საშინელ უძლურებას წარმოადგენდა და საზოგადოებრივის დაკნინებით ფეოდალების თავ-ახსნილობას საზღვარიც არა ჰქონდა. შინაური ცხოვრების სიდუხჭირე თუ გარეშე საშიშროებანი საპირადო და სამამულო კომენდაციას, საგანგებო სამუნდებურდოდ და სხ. „მფარველობას“ პირდაპირ იწვევდნენ და უეჭველია ხიზნობაც სამამულო და აგრეთვე საპირადო კომენდაციის ერთ ფორმას წარმოადგენს. ხიზნები არ არიან მოიჯარადრენი. ხიზნებზე—როგორც მოიჯარადრეებზე, ლაპარაკი არ შეიძლება, უმთავრესად იმიტომ, რომ იჯარა იმ მესამე პირის ძლიერებას ჰგულისხმობს, რომელსაც ჩვენ მთავრობას უწოდებთ და რომლის ალაგი ფეოდალიზმის დროს მემამულეს ეჭირა. ერთგვარი ფორმა მიწის სარგებლობისა, ძნებას თუ ანალიზს გაუკეთებთ, რომელიც წააგავს თანამედროვე იჯარადრობას ვხედავთ ჩვენს ძველს დროში, **მოყალნეს** სახელწოდებით. ერთ-ერთს საეკლესიო გუჯარში მაგალითად ნიკოლოზ ალავერდელი აწესებს რა გადასახადს (ცნობა ეხება 1749 წელს) ამბობს, რომ იგი წესი ეხება როგორც ყმას ისე მოყალნეს (арендаторъ).[10] ხიზნობა როგორც ერთი ფორმა კომენდაციისა მეტად შეეფერება რუსულ „**закладничество**“-ს. გუბერნატორი არლოვსკი, ბატისოვი და რამდენიმე ხახანაშვილიც წინად, ხიზნობას „ჩინშევიკებსა“ და „პოლოვნიკებს“ უფარდებდნენ, ამ ჟამად ხიზნობა უეჭველად უნდა დაუპირისპიროთ „ზაკლადნიჩესტვოს“. რას წარმოადგენს „ზაკლადნიჩესტვო“? ამ მდგომარეობის საუკეთესო მკვლევარი მის არსებას შემდეგნაირად ახასიათებს: „ზაკლადნიჩესტვოსა და ხოლოპობის შორის—ამბობს პავლოვ-სილვანსკი დიდი განსხვავებაა: ხოლოპი არის კაცი ბატონზე ყოველმხრივ დამოკიდებული, იგი იმყოფება ბატონის სრულს კუთვნილებაში, რომელზედაც ბატონს ჰქონდა აგრეთვე მისი სიცოცხლის განგების უფლებაც. „ზაკლადჩიკი“ კი თავს არაფრით არ იბოჭავდა. იურიდიულის მხრივ, უფლების თვალთახედვის წერტილიდგან, იგი სახელმწიფოს მიერ ცნობილი იყო და დაცული, ის რჩებოდა თავისუფალ კაცად. თუ იგი ესახლებოდა კერძო მემამულეს მიწაზე (**вотчина**), „ზაკლადჩიკი“ ხდებოდა მხოლოდ სამამულო დამოკიდებულებაში. სახელმწიფოებრივის მოვალეობათაგან განთავისუფლებას ის იხდიდა თავისუფლების დროებით დაკარგვით, ბატონის ან მის ნოქრის[11] სამართლისა და გამგეობის ქვეშ ყოფნით, მაგრამ იგი „ზაკლადჩიკი“ მუდამ იტოვებდა უფლებას თავისი დამოკიდებულება დაერღვია ყოველს დროს. ამ დროებით, კეთილნებურ დამოკიდებულებაში არის არსებითი ძარღვი კომენდაცია—ზაკლადნიჩესტვოს“[12]. დახასიათება „ზაკლადჩიკის“ მდგომარეობისა სწორედ ასეთია, როგორც ხიზნობისა ჩვენში ალ. ყიფშიძის, ანფარისა და სხ. მიერ. პროფესორი ალ. ხახანაშვილი ეხება რა პავლოვ-სილვანსკის „ზაკლადჩიკს“ და უფარდებს მას საქართველოს ძველს ცხოვრებაში კარგად ცნობილ მინდობილ კაცს და აგრეთვე რამდენიმე მაგალითით ახასიათებს პატრონატის ინსტიტუტს[13]. და სწორედ, ეგ მინდობილი კაცი ის ხიზანი გახლავთ, რომლის შესახებაც ჩვენ გვაქვს საუბარი. „მინდობილია ის, ვინც ძლიერსა და მდიდარ პატრონს კომენდაციით მოექცა. ეგ ტერმინი—ამბობს სვ. ავალიანი—უთანაბრდება რუსულს „ზაკლადენ“-ს პავლოვ-სილვანსკის განმარტებით და დასავლეთის **commendatus**, საქართველოს—ხიზანს“[14]. ამ გვარად, ხიზნობა მარტო საქართველოს ცხოვრებაში განვითარებული ინსტიტუტი როდია, იგი არ არის მხოლოდ და ქართველ მემამულეთა გულკეთილობით შემუშავებული მოვლენა. ხიზნობის მაგვარ ინსტიტუტს ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა სახელებით...

თევდორე ღლონტი.

(შემდეგი იქნება).

---

[3] იხ. თავად-აზნაურობის იმ დროის (1893 წლის) „Записка по хизанскому вопросу“.

[4] სიგელ-გუჯრებში ეგ რომაული ტერმინი მეტის მეტად ხშირად იხმარება. თაყაიშვილის, ხახანაშვილის, ცაგარლის, ფურცელაძის და სხვათა კრებულებში იგი სიტყვა თითქმის ყოველ ფურცელზე გვხვდება. უეჭველია პატრონატს განსაკუთრებით დიდი ალაგი ჰქონდა საქართველოში.

[5] 1905 წელში, მეორედ გამოცემულ „ბატონ-ყმობა საქართველოში“ ალ. სოლ. ხახანაშვილი ამბობს: „**ფეოდალიზმისაგვარი** ბატონყმობა არ არის საკუთრება გერმანელ და რომაელ ერებისა“ (იხ. გვ. 5 კურსივი ჩემია. თ. ღ.) ე. ი. ფეოდალობა მხოლოდ გერმანელთა და რომაელთა ერებს ახასიათებსო. ავრე ამბობდნენ რუსეთშიაც. „ჩვენში—რუსეთში—ამბობს ამ საკითხის შესანიშნავი გამომკვლევი პავლოვ-სილვანსკი—არაა მიღებული რუსულ დაწესებულებათა ფეოდალურ დაწესებულებებთან მიმსგავსება“ (იხ. პავლოვ-სილვანსკის „Феодализмъ въ древней Руси“ გვ. 263 და სხ.) მაგრამ მას შემდეგ განვლო დრომ. მეცნიერებამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და მეცნიერულ კვლევა-ძიების საშუალებით, ალ. სოლ. ხახანაშვილი სწერს: „ისტორიკოსებმა და ეთნოგრაფებმა აღმოაჩინეს ფეოდალურ ცხოვრების პირობები ძველ კელტებში, გერმანელებში, სლოვიანებში, ბიზანტიელებში, აგრეთვე ჩინელებში იაპონელებში, სომხებში, თამილებში, მადაგასკარისა, პოლინეზიისა და სხვა ადგილების მცხოვრებლებში“ (იხ. „Сборникъ статей посвященныхъ В. О. Ключевскому“ გვ. 823. ხოლო ჩვენ იგი ფეოდალიზმი საქართველოს ცხოვრებაში აღმოვაჩინეთ—დასძენს დაუვიწყარი პროფესორი.

[6] იხ. Н. П. Павловъ-Сильванскій „Феодализмъ въ удѣльной Руси“ გვ. 309.

[7] იხ. Яковенко „Къ исторіи иммунитета въ Византіи“ გვ. 33.

[8] П.—Сильванскій „Феодализмъ“... გვ. 309.

[9] იხ. П. Виноградовъ „Средневѣковое помѣстье въ Англіи“ (Ж. М. Н. Пр. т. VIII. გვ. 194 № 6. არის ცალკე ტომადაც. სწორედ აგრე ხსნის ჩვენი ცხოვრების საშუალო საუკუნოებს პროფ. ალ. ხახანაშვილი და სვ. ავალიანი.

[10] Цагарели „Грузинск. церковн. гуджары“ გვ. 17.

[11] ძველ სიგელ-გუჯრებში სოფლის ნოქრებსაც ხშირად ვხვდებით.

[12] П.-Сильванскій „Феодализмъ“, გვ. 321.

[13] А. С. Хаханашвили, კრებულში „Сборникъ статей посвящ. В. Ключевскому“ გვ. 826.

[14] იხ. С. Авалiани „Крестьянскiй вопросъ въ Закавказьѣ“ ტ. II, გვ. 12.

ამ ჟამად აქეთ ყველაფერს სისხლის ფასი აძევს. ქერი კოდი (კოდი ფუთზე მეტია) 1 მ. 20 კ. პური 2 მ., ფუთი თივა 60—70 კ. ერთი მუშა საქონლის გამოკვება 3—4 თვეს 20—25 მან. სამაგიეროდ საქონელი იაფია: მაგალითად, მუშა ხარი 20 მ.—25 მან. ძროხა 20 მ. მოზვერი—10 მ. ცხვარი—3 მან. მიუხედავად ასეთი ფასებისა ქ. ახალქალაქის ყასბები მაინც ძველებურად ჰყიდიან ხორცს. წლევანდელი ზამთარი მეტად თბილი და უთოვლოა, რის გამოც აქ ცხვარი ზამთრის იალაღებზე ბალახობს, რაც დიდი შეღავათია პატრონისთვის. სწორედ ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ცხვარს ამგრე რიგად არა ჰყიდიან ჩალის ფასად. 7 იანვარს წვიმდა მთელი დღე. თოვლი თითქმის დადნა ტრიალ მინდვრებზე. ახალ გაზაფხულს მოგაგონებთ არე-მარე.

ქნის პირელი.

უცხოეთი

შვეციის კრიზისი.

კონსერვატორები სტოკჰოლმში როიალისტურ მანიფესტაციებისთვის ემზადებიან. მათი სულის ჩამდგმელი სვენგედინია. აუარებელ ხალხით გარსშემორტყმული იგი დადის ერთი რესტორანიდან მეორეში, ყველგან მხურვალე სიტყვებს ამბობს. ამ დროს სტუდენტები, რომელნიც დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ, ქუდებით აგროვდნენ შემოწირულებას შვედების შეიარაღების გასაძლიერებლად.

თებერვლის პირველ რიცხვებში გადაყენებულ პირველმა მინისტრმა სტააფმა რეიხსტაგში გამოამჟღავნა იმ განხეთქილების წვრილმანები, რომელიც მეფისა და კაბინეთ შორის მოხდა. თურმე, რამდენიმე დღის წინად, ვიდრე მეფე გლეხთა დეპუტაციებს მიიღებდა, პირველმა მინისტრმა მეფეს გააცნო შინაარსი სიტყვისა, რომელიც უნდა წარმოეთქვა გლეხების დეპუტაციის საპასუხოდ. მიუხედავად ამისა, მეფემ უარი სთქვა ეცნობებინა პირველ მინისტრისათვის რაიმე ცნობები იმის შესახებ, თუ რის თქმას აპირებდა გლეხებისათვის. შემდგომ მეფემ ჩა[illegible]ილებით ყველა ფარული სა[illegible] პირველ მინისტრთან [illegible]ც განხეთქილებამ იფეთქა, [illegible] მან კაბინეთის უცნობლად გამოაქვეყნა ისინი. კამათის დროს სოციალ-დემოკრატების დეპუტატმა ბრანტინგმა, გლეხთა ჯგუფის ბელადმა პირსონმა და ლიბერალმა ედინმა მხარი დაუჭირეს სტააფს.

როდესაც პირველი მინისტრი პარლამენტიდან გამოვიდა ათი-ათასიან ხალხის კრებულმა ოვაციები გაუმართა.

უკანასკნელი ცნობებით ბარონმა დი-გირმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კაბინეთის შედგენა, უარი განაცხადა ახალ ლიბერალურ კაბინეთის შედგენაზე, რადგან მისი აზრით არ არის შესაფერი პირობები ასეთი კაბინეთისათვის. ამიტომ მეფემ მეორე ზომიერ ლიბერალს გამმარსკვილდს მიმართა. უკანასკნელმა მეფეს მიუთითა იმაზე, რომ არსებულ პირობებში ლიბერალები არ მოისურვებენ ახალ კაბინეთში შესვლას და ურჩია კონსერვატორებისათვის მიემართნა, მაგრამ მეფემ მაინც სთხოვა გამმარსკვილდს ერთხელ კიდევ სცადოს კაბინეთის შედგენა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

7 თებერვალი

უცხოეთი.

იანინა. ჰოლანდიის ოფიცერთა და კესიმ-ბეის მეთაურობით რაზმმა ბერძნების ოლქში სამი სოფელი აიღო. ბერძენთა ჯარის მოახლოვებისას ალბანელნი მიიმალნენ.

პარიზი. „მატენი" იტყობინება: საფრანგეთი დასთანხმდა საბერძნეთს 350 მილიონი ფრანკი სესხად მისცეს. 175 მილიონს აპრილში მისცემს, დანარჩენს წლის ბოლოში.

ტოკიო. ნავთსადგურ კურეს უფროსისა ადმირალ მატსუმოტოსი და არსენალის უფროსის მურაკამის ბინა გაჩხრიკეს. სასამართლოს გამოძიებით აღმოჩნდა მრავალ მოხელეთა მონაწილეობა ბოროტმოქმედებაში. დიდ პროცესს მოელიან. პრემიერის გადადგომა თითქმის გადაწყვეტილია; პრემიერი წასვლას პარლამენტის სესიის დასრულების შემდეგ მოელიან. იამოტოს ნაცვლად ასახელებენ ზედა პალატის თავმჯდომარეს თავად ტოკუმაკას.

მუკდენი. აღმოაჩინეს ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც რევოლიუციას ამზადებდა. გაფაციცებით დაეძებენ მოძრაობის მეთაურებს, რომელნიც მეორე რევოლიუციის ბელადებად იყვნენ.

ლონდონი. პრინც ვიდმა ინახულა რუსეთის ელჩი ბენკენდორფი და სინანული გამოსთქვა, რომ პეტერბურგში ვერ წავა, რადგანაც ალბანეთს მიეჩქარება. პრინც ვიდმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მარმაროშ-სიგეტი. უგრორუსთა პროცესი. სასამართლოს გამოძიების აქტის კითხვა დასრულდა. ბრალმდებელი მოითხოვს დამატებითი საბუთების წაკითხვას. დამცველი კლეინი მოითხოვს სასამართლოს წარუდგინონ ის ნივთიერი საბუთები, რომელნიც დულიშკოვიჩმა ვითომც ბუდაპეშტის პოლიციის გადასცა. დამცველნი მოითხოვენ აგრეთვე ახალ მოწმეთა მოწვევას. ბრალმდებელი ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს. სასამართლო ამ საკითხზე თვის გადაწყვეტილებას ხვალ გამოიტანს.

სოფია. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა სტამბოლის მომხრე მინისტრთა საქმის გარჩევა 12 თებერვლამდე გადასდოს.

ლონდონი. სათემო პალატა. გრეი შეკითხვაზე უპასუხებს: სადიპლომატო უწყების ცნობებით, ბალკანეთის მცხოვრებნი ომის შემდეგ დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან. დაინტერესებული მთავრობანი არავითარ დახმარებას არ ითხოვენ; 1913 წელს ინგლისის მთავრობამ ალბანეთის უუსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად 5.000 გირ. გაიღო; მაშინ ალბანეთს განსაზღვრული მთავრობა არა ჰყავნდა; ინგლისის მზად იყო წინადაწინვე დიდი თანხა გაიღო, თუ სხვა სახელმწიფონიც მიჰბაძავდნენ; საუბედუროდ, ინგლისის მთავრობის კვალს სხვანი არ მიჰყვნენო.

ბუქარესტი. მეორე კურიაში პალატაში 24 ლიბერალი და ორი დემოკრატი აირჩიეს.

ბერლინი. რეიხსტაგში საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ცენტრის დეპუტატმა. ერცბერგერმა სთქვა, რომ გერმანია ყოველ წუთს მზად უნდა იყოს, რადგანაც რუსეთი თვის საზღვაო ძალას აძლიერებსო. მოლაპარაკეს სასიამოვნოდ არ მიაჩნია ის ფაქტი, რომ რუსეთს მთელი თვისი საზღვაო ძალა უმთავრესად ბალტიის ზღვაზე გადააქვს.

ბერლინი. პრუსიის ლანდტაგმა მიიღო სურვილი, შემუშავდეს მთავრობის მიერ ენერგიული ღონისძიებანი უზნეობასთან საბრძოლველად. ლანდტაგის კონსერვატორი წევრნი მკაცრად აკრიტიკებენ ბერლინის ცხოვრების პირობებს. ბერლინი დამით ყველაზე სამარცხვინო დაღია გერმანიისთვისო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ლანდტაგს ეს აღუთქვა, რომ მიიღოს ზომები, რათა ღამის რესტორანების რიცხვი შემცირდეს.

კაპშტატი. მეამბოხეთა ჯარი გრანდრივიერ-ლიმბეში სასტიკად დამარცხდა.

რუსეთი.

პეტერბურგი (ოფიციალური ცნობა). ფინანსთა სამინისტროს მოხელენი ახლად დანიშნულ ფინანსთა მინისტრს წარუდგნენ. ფინანსთა მინისტრმა ბარკმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მისმა იმპერატორობითი უდიდებულესობამ მომანდო ფინანსთა სამინისტროს გამგებლობა. დიდის მღელვარებით უდგები ჩემი მოვალეობის აღსრულებას. სავსებით შეგნებული მაქვს ამ საქმის სირთულე. სიძნელე ამ საქმისა მით უფრო ღრმავდება, რომ ჩემი წინამოადგილენი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ. ჩვენ ვალად გვადევს საფინანსო უწყებას შეუნარჩუნოთ მრავალ მხრიანობა, სარგებლიანობა და დაუღალავი მოღვაწეობა, რაიც მას დღევანდლამდე ჰქონდა. საქმე ადვილი ვერ არის. ერთად ერთი, რაც მე მახალისებს ის არის, რომ ფინანსთა სამინისტრო განსაკუთრებულ კარგ პირობებში იმყოფება. სამინისტროსა აქვს მკვიდრი ოქროს ფული და დიდძალი თავისუფალი თანხა. ეს გარემოება შეძლებას აძლევს ფინანსთა სამინისტროს თანდათანობითი განვითარების გზას დაადგეს ყოველმხრივ. მე არ გადავიშლით მოქმედების დაწერილებითი პროგრამას: უმაღლეს რესკრიპტში ეს პროგრამა სათანადოდ იყო გაშუქებული. სამინისტროს მოქმედების უახლოეს მიზანს შეადგენს გამოაფხიზლოს ხალხი და განავითაროს მისი წარმოებითი ძალნი ადვილად მისაწვდენ კრედიტის საშუალებით; ჩვენი მიზანია—ხელი შეეწყოს ხალხის კეთილდღეობას, რაიც დამკვიდრებული იქნება გონივრულს შრომაზე. ამ მიზანთან უნდა იყოს შეთანხმებულ სამინისტროს მთელი მოქმედება; ამასთანავე ერთად, ამ გარემოებას განსაკუთრებით უსვამ ხაზს, ყველა უწყების მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს, რომელნიც ერთადა იმავე საგნისთვის ზრუნავენ. ამ მიზნის მიღწევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფინანსთა სამინისტროზე სდევს პასუხისმგებლობა სხვა და სხვა უწყების ხარჯთ-აღრიცხვის თანაბრობისა. მუდამ უნდა გვახსოვდეს, ყოველი კეთილი საქმე ნაყოფს იქ გამოიღებს, სადაც სამეურნეო საქმე კეთილად არის წარმართული. მთელი კულტუროსანი ქვეყანა გაკვირვებული იყო იმით, თუ რა ადვილად გადაიტანა რუსეთმა განვლილ ხანათა უბედურებანი. ჩვენ იმ დროის მცხოვრებნი ვართ, როდესაც ჩვენი სასოფლო-მეურნეობა ძლიერად ვითარდება და ახალ წესწყობილებას ემკვიდრება; მრეწველობა საოცარის სისწრაფით იზრდება, სავაჭრო თანხა ძლიერდება; ამასთანავე ისიც ვიცით, რომ ჩვენს სამშობლოში მრავლად მოიპოვება ხელუხლებელი სიმდიდრენი, რომელნიც შრომასა და კაპიტალს მოელიან". დასასრულ მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ ფინანსთა სამინისტროს მოხელენი ერთსულოვან მუშაობით ხელ შეუწყობენ ამ დიადი საქმის ასრულებაში და ამით გაამართლებენ იმ უმაღლეს ნდომას, რომელთაც ხელმწიფე იმპერატორმა იგი აღჭურვა.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტროს მოხელეთა სახელით საპასუხო სიტყვით მიჰმართა ახლად დანიშნულ მინისტრს ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ნოვიცკიმ.

ჰელსინგფორსი. სენატის სამოსამართლო პალატამ ცხრა თვის ციხე გადაუწყვიტა გაზეთ „ჰეივეს" რედაქტორს სტენბერგს წერილის დაბეჭდვისთვის, საცა შეურაცყოფა მიყენებულია მეფისადმი. აბოს გოფგერიხტმა თავის დროზე გაამართლა ბრალდებული.

ხარკოვი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, 1914 წლის შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო კურსები გახსნას.

ოდესა. სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება თათბირსა ჰმართავს ნოვოროსიის უნივერსიტეტში საგრონომიო ფაკულტეტის დაარსებაზე.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 100.000 მანეთი გადასდო თერგის ოლქში შიმშილით დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად.

უფა. დააპატიმრეს მესამე სათათბიროს წევრად ნამყოფი სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ექიმი პოკროვსკი; მას ავადმყოფ ქალის გაუპატიურების განზრახვა ჰბრალდება.

რიგა. ფეხსაცმელის ქარხნის „უნივერსალი"-ს მუშები გაიფიცნენ. გაფიცულნი მოითხოვენ დათხოვნილ მუშის უკანვე მიღებას.

კიევი. ფასტოვის საქმის გამო დაპატიმრებული პაშკოვი დ გუტგარცი თავდებით ციხიდან გაანთავისუფლეს. პირველმა გირაოდ შეიტანა 50.000 მანეთი, მეორემ 1,000 მან.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და ფინანსთა მინისტრად ნამყოფი გრაფი კოკოვცევი ფინანსთა სამინისტროს მოხელეებს გამოეთხოვა.

პეტერბურგი. სათათბიროს საერობო მოღვაწეთა ჯგუფის თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს ვარუნ-სეკრეტი.

ჰელსინგფორსი. ფინლანდიელ მოქალაქეთა პეტერბურგის ციხეში დაპატიმრების გამო შეტანილ ადრესს ხელი მოაწერეს შვეციის პარტიის წევრებმა და ბურჟუაზიულმა წევრებმა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

მსახიობებისათვის იმაზე ცუდი არა არის-რა, როდესაც თეატრის დარბაზში ხალხი ცოტაა. რაც უნდა კარგ გუნებაზე იყოს მსახიობი, სცენაზე გამოსვლისას, თუ ნახევრად ცარიელი თეატრი დაინახა, ყოველივე ხალისი დაეკარგება, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. მით უარესად მოქმედებს ასეთი გარემოება მობენეფისეზე.

თავი დავანებოთ ქონებრივ დასჯას. ამით საზოგადოება მსახიობს ზნეობრივად უფრო სჯის, რადგან რაც უნდა ბევრი იყოს გარეშე პირობები, რომელიც ამართლებდეს საზოგადოების ნაკლებად დასწრებას, მსახიობი ამას არ აქცევს ყურადღებას და მუდამ ერთსა და იმავეს გაიფიქრებს: „საზოგადოება არაფრად მაგდებს, არ მაფასებს, მაშასადამე, არც ვუნდივარ და რაღად უნდა ვიტეხო თავიო!" ასეთია ფსიხოლოგია საერთოდ ყოველ ჩვენგანისა, რადგან ჩვენში ისეთი „წმინდანები" იშვიათად მოიპოვება, რომელნიც მარტო საქმის სიყვარულით იყვნენ გატაცებულნი და ჯილდოს არ ელოდნენ. მსახიობებისათვის ეს ზნეობრივი ჯილდო ძვირფასია და ამიტომ მკაცრად და სრულებით დაუმსახურებლად მიგვაჩნია ეს სასჯელი საზოგადოებისა ნიჭიერ მსახიობისა და რეჟისორის ვ. შალიკაშვილისადმი.

ადამიანი დაუღალავად ემსახურება საზოგადო საქმეს სამ გვარად: როგორც მსახიობი, როგორც რეჟისორი და როგორც დრამატურგი. შეიძლება უკანასკნელ დარგში ჯერჯერობით იგი ვერ იყვეს ისე დახელოვნებული, ისეთი მხატვარი როგორც პირველ დარგებში, მაგრამ განა ეს საბუთია საზოგადოების გასამართლებლად? შეიძლება ქუთაისში წასვლასაც ემოქმედნოს (რადგან ტფილისში ხმები გავრცელდა, რომ დასი ხუთშაბათსაც იქ რჩებაო), მაგრამ მაინც ეს სრულებით არ ამართლებს ქართულ საზოგადოებას თვისივე მოღვაწის ეგრედ ნაირად მოპყრობისათვის. ჩვენ პირადად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამას არავითარი სიპტომატიური მნიშვნელობა არა აქვს ნიჭიერ ვ. შალიკაშვილის საზოგადოების მიერ პატივისცემაში, დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი ჩვენგანი მეტად აფასებს მას და უყვარს კიდეც. რადგან შეუძლებელია კაცმა არ დააფასოს ღვაწლი ადამიანისა, რომელიც ეგრე თავგამოდებით ემსახურება სამშობლო სცენას და ხელოვნებას. ვ. შალიკაშვილი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის მხურვალე და გულწრფელი ოვაციები, რომლითაც ეგებებოდნენ ყოველ მის გამოსვლას, აგრეთვე რიცხვი ძვირფასი საჩუქრებისა, რომელიც მან მიიღო, ცხადი მოწმეა საზოგადოების და მეგობრების ერთგულებისა და თუ თეატრი მის ბენეფისზე საკმაო ბლომად ვერ დაესწრო, ეს მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა იყო.

მობენეფისემ თუმცა ძველი, მაგრამ ფრიად შინაარსიანი პიესა ამოირჩია. „ისმინე ისრაილ" განცდაა მრავალტანჯულ რუსეთის ებრაელებისა იმ უმაგალითო წლებში, როდესაც ყოველი მათგანი მრავალგვარ უბედურებებით ნახევრად გასრესილი უკვე უტიფრობას იჩენდა იეგოვას წინაშე და მრისხანე ღმერთს ეკითხებოდნენ „რისთვისაა"-ო.

მობენეფისე ასრულებდა აარონის როლს და როგორც მუდამ საოცარის წინდახედულობით და დაკვირვებით ასრულებდა მას. მისი არონი თავიდან ბოლომდე სწორია, უნაკლო. განსაკუთრებით ძლიერია შთაბეჭდილება მეორე მოქმედებაში, როდესაც არონი ქალის გაუპატიურების ამბავს გაიგებს. ძლიერ კარგი იყო აგრეთვე გუნიას მიერ განსახიერებული რაბინ ელიაშევის ტიპი. დანარჩენებიც გვერდში უდგნენ მობენეფისეს და კარგი ანსამბლით ჩაატარეს პიესა,

შემდეგ ითამაშეს **დ. კლდიაშვილის** „დარისპანის გასაჭირი", რომლის ჰუმორი იმდენად საუცხოვოა, რომ რამდენიც არ უნდა უსმინო იმდენს რაიმე ახალს პოულობ და გულიანად იცინი. მშვენიერი გადმოცემულია კლდიაშვილის ჰუმორი ვ. შალიკაშვილის მიერ. მისი დარისპანი კლასიკურია.

საზოგადოება მეტად კმაყოფილი დაიშალა. **მელანი.**

ვალერ. გუნიას ბენეფისი გადაიდო სხვა დროისათვის, რადგან მსახიობი ზარდალიშვილი ავად გახდა და კვირამდე ვერ ადგება ლოგინიდან. კვირას დონ-კარლოსის მაგიერ წარმოდგენილი იქნება მეფთედე იოსებ გედევანიშვილის პიესა ზღაპარი „სინათლე".

საყველიერო რეპერტუარი ქართულ თეატრში განაწილებულია ასე: ხუთშაბათს დონ-კარლოსი ვ. გუნიას საბენეფისოდ, პარასკევს დილით „სინათლე", საღამოთი—„კინი", შაბათს დილით „მედეია", კვირას დილით—დონ-კარლოსი, საღამოთი—„ღალატი". ბილეთები ამ თავითვე იყიდება ყველა წარმოდგენებზე.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საბ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისკენ: **საბ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **მ. ფომინა-თხიპთვიხა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედბლიანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **მ. ლ. კიკოლიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბაბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. აგეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. აგეტიხიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ დ კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა,** იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 48

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
ჩვენი კაზმული მწერლობა.

ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი	1 მ.	კ.
„ ახუნდი, პოემა,	5	„
„ ბახტრიონი, .	20	„
„ ამოდის ნათლება,	15	„
„ სამი საყმაწვ. ამბავი,	15	„
კარიჭაშვ. სამი მსხვერპლ., მოთხ.	30	„
კლდიაშვილი. საყმაწ. მოთხრ.	30	„
„ თხზულებანი I.	75	„
„ „ II.	75	„
მზის სიცილი, აბაშელი.	50	„
მგალობლიშვ. თ-დი იორენიძე,	10	„
„ მთიული სოსე,	10	„
ლომოური. ყოვლის მხრიდან,	10	„
„ ბერუა ქრისტესიაშვ.,	10	„
„ ალი, . .	10	„
„ ქაჯანა, . .	7	„

ნინოშვილი. მოსე მწერალი,	10	„
„ არშიყნი, .	5	,
„ სიმონა, . .	20	„
„ პოლიასტომის ტბა,	5	,
„ განკარგულება,	5	,
„ გოგია უიშვილი,	5	,
ორბელიანი გრ. ლექსები:	20	,
ორბელიანი ვახტ. ლექსები,	60	,
ორბელიანი ნინო. „	30	„
ახლად გამოსული წიგნები:		
ა. ფრონელი. მთის არწ. შამილი,	25	„
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. კელენჯერიძე, .	1 მ.	
Долина Свѣти Груз. преданіе,	1 მ.	
აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი, .	10	„
საქ. ცხოვრ. ზ. ჭიჭინაძისა,	1 მ.	

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

12 ქართული წიგნი | ახალი გამოცემა |
ერთ მანეთად, გაგზავნით.
მისამართი: Тифлисъ, Тумановскій пер., 24, Ив. П. Гостомашвили.
73

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.